პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	მუსიკოლოგიური კვლევები / Musicological studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	მუსიკოლოგიის დოქტორი / Doctor of Musicology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ისწავლოს დამატებით არაუმეტეს 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა ECTS კრედიტებში შეადგენს 35.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი	პროფესორი მარინა ქავთარაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება კონსერვატორიაში ხორციელდება სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს არსებულ ადამიანურ, ფინანსურ და კვლევით რესურსებს, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობას, დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგებს; ასევე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის გათვალისწინებით. კონსერვატორიაში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; მუსიკოლოგიის მიმართულებით ან მონათესავე დარგში (სწავლის სფეროების კლასიფიკატორით 0215.1.8 - 0215.1.18. კოდებით განსაზღვრული სწავლის სფეროები)

	შიდა საკონსერვატორიო გამოცდის წარმატებით ჩაბარება მიმართულების შესაბამისად შექმნილ დარგობრივ კომისიასთან. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს აპლიკანტების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებას, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო; კონსერვატორიაში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მსურველი პირი მისაღებ კომისიას კონსერვატორიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად წარუდგენს კვლევის თეზისს/პროექტს; ● სადოქტორო კვლევითი განაცხადი; ● ზეპირი გამოცდა/გასაუბრება ● გამოქვეყნებული სტატია/რეფერატი, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობა. ● პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერთიფიკატით. *აღიარებას ექვემდებარება საერთაშორისო სერტიფიკატები, კერძოდ: TOEFL-ის, IELTS-ის, PTE General-ის, CAMBRIDGE FCE-ის, CPE-ის, CAE-ის, DELF/DALF-ის, ÖSD-ის, TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), GOETHE-ZERTIFIKAT, DELE (B2), eLADE (B2), CILS, CELI, PLIDA და სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - CERTUS.* *უცხო ენის სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, იმ შემთხვევაში თუ სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამის სრული კურსი გავლილი აქვს რომელიმე უცხო ენაზე: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენაზე ან დაგროვებული აქვს არანაკლებ 60 ECTS უცხოეთში სწავლის პერიოდში. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;* *დოქტორანტობის კანდიდატმა, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.*

	იხ. საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები და სადოქტორო დებულება tsc.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება კონსერვატორიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საქმიანობის განხორციელების კვლევით სტრატეგიას და ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე ორიგინალური და თანამედროვე კვლევების განხორციელებით. პროგრამის მიზანია: ● თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს მუსიკოლოგიის სხვადასხვა სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ კონკრეტული დისციპლინის ან/და ინტერდისციპლინურ ჭრილში დამოუკიდებელ სამეცნიერო საქმიანობას; ● აღზარდოს მეცნიერი-მუსიკოლოგები, რომლებიც შეძლებენ ეროვნულ სამუსიკო კულტურაში არსებული აქტუალური პრობლემების რელევანტურ, გამოყენებად, ან/და ინოვაციური კვლევების განხორციელებას მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლესიო მუსიკოლოგიის, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიასა და თეორიის მიმართულებით; ● შექმნან თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დამყარებული ახალი ცოდნა მუსიკოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით; ● მოამზადოს უმაღლესი სკოლისათვის აკადემიური კადრები; ● ხელი შეუწყოს დოქტორანტებს, როგორც მკვლევრებს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებაში; თავისი წვლილი შეიტანონ მუსიკოლოგიის, როგორც დარგის განვითარებაში;
სწავლის შედეგები	დოქტორანტურის კურსის გავლის შედეგად მიღებული სამეცნიერო-კვლევითი უნარები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, გაუძღვეს სალექციო კურსებს როგორც არჩეული სპეციალობით, ისე ბევრად უფრო ფართო ასპექტით. პრაქტიკულად გამოიყენოს დაგროვილი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზოს სხვადასხვა ხასიათის ფაქტობრივი მონაცემები, მეთოდოლოგიის სწორი შერჩევით შემოქმედებითად განავითაროს იგი, პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებას სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვისას.

	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ● იცნობს და ფლობს მუსიკალური ხელოვნების და სხვა მონათესავე მეცნიერებების უახლეს კონცეფციებს და თეორიებს; იყენებს მათ ინტერდისციპლინურ კვლევებში; წარმოაჩენს საკვლევი საკითხების (თეორიული, პრაქტიკული, შემოქმედებითი და/ან კომბინირებული) შემუშავების უნარს და საკუთარი კვლევის სფეროსთან დაკავშირებული კვლევის შესაბამის მეთოდებსა და ტექნიკებს; ● ქმნის მუსიკოლოგიის კონკრეტულ სფეროში ახალ ცოდნას, რომელიც მის მიერ ჩატარებულ კვლევას ემყარება და რეალიზაციას ჰპოვებს დასრულებულ გამოკვლევაში – სადისერტაციო ნაშრომში; ● წარმოაჩენს საკუთარ იდეებსა და საკვლევ საკითხებს თანმიმდევრულად, მტკიცებულებაზე დაფუძნებითა და ინოვაციური მიდგომებით, რა დროსაც იყენებს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; ● ფლობს და იყენებს მუსიკოლოგიური დარგის (ქვედარგის) სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს; ● წარმოაჩენს საავტორო უფლებების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, კონფიდენციალური ინფორმაციისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ასპექტების ცოდნასა და გამოყენების უნარს; ● წარმოაჩენს არგუმენტირებული და კონსტრუქციული კრიტიკის წარმოების და მიღების უნარს ეთიკური ნორმების დაცვით; ● სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის წარმოაჩენს და გადმოსცემს საკუთარი კვლევითი საქმიანობის შედეგებს შესაბამისი შინაარსის, ფორმისა და ფორმატის გამოყენებით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სასწავლო და კვლევით აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური და წერითი, პრობლემაზე, პროექტზე დაფუძნებული და სხვ.
შეფასების სისტემა	**სასწავლო კომპონენტის შეფასება:** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისადა მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ● ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ● ძალიანკარგი – მაქსიმალურიშეფასების 81-90 ქულა; ● კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ● დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ● საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: ● (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;; ● (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. **კვლევითი კომპონენტის შეფასება:** ● დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული

	სამუშაოს ჩატარების პროცესის მხარდაჭერას; სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის განხორციელების გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს. ● კოლოკვიუმის განხილვა/პრეზენტაცია ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი მიმართულების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიის წინაშე, რომლის დასრულების შემდეგ ხორციელდება დოქტორანტის შეფასება; დოქტორანტის შეფასება ეფუძნება შემდეგ ძირითად ინდიკატორებს: 1. ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა; 2. ანალიზისა და კვლევის სიღრმე; 3. შედეგი დოქტორანტის შეფასებისას განისაზღვრება: ა) კოლოკვიუმი ჩაითვალოს შესრულებულად; ბ) კოლოკვიუმი არ ჩაითვალოს შესრულებულად; (დეტალურად იხ. დანართი **დოქტორანტის კოლოკვიუმი და სემესტრული გეგმა)** ● აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ, საერთაშორისო ინდექსის მქონე გამოცემაში; ● მინიმუმ სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (რომელთაგან სულ მცირე ერთი მოხსენება წარდგენილი იქნება უცხოურ ენაზე); ● დისერტაციის დასრულების შემდეგ, დაცვის უფლების მოსაპოვებლად დისერტანტის ნაშრომი გადის აპრობაციას; ● სადისერტაციო ნაშრომის ფარული რეცენზირება ხდება უცხოელი ექსპერტის მიერ. **იხ. დებულება** **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება** დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად,

	დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, დადგენილი წესით. **იხ. დებულება** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირსიტყვიერად. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. **დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:** ● ფრიადი (summa cum laude)- შესანიშნავი ნაშრომი-მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ● ძალიან კარგი (magna cum laude)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ● კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80%; ● საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალურიშეფასების 61-70%; ● დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს -მაქსიმალური შეფასების 51-60%. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. **დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:** ● არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულმოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41- 50%;

	• სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერაკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	პროგრამა ამზადებს პროფესიონალებს როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის, ყველა იმ სფეროში, სადაც საჭიროა მუსიკოლოგის მაღალი კვალიფიკაცია. მუსიკოლოგიის დოქტორის პროფესიული მოღვაწეობის სფეროებია - სამეცნიერო–კვლევითი, სასწავლო–აღმზრდელობითი, შემოქმედებით-პრაქტიკული, საექსპერტო–კონსულტაციური, სამუსიკო ხელოვნების დარგების მენეჯმენტი, საორგანიზაციო–მმართველობითი სფეროები. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ უმაღლეს სამუსიკო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობების დაკავება, კვლევითი საქმიანობის განხორციელება და სწავლება. მათ, ასევე, შეეძლებათ დასაქმდნენ უმაღლესი განათლების სისტემაში და ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებს/პროექტებს. ასევე, კურსდამთავრებული შეძლებს აწარმოოს კვლევითი მუშაობა კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ეწევიან საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას მუსიკის სფეროში, მართოს ამ სფეროს კვლევითი პროექტები, იყოს დამოუკიდებელი ექსპერტი/კონსულტანტი მუსიკოლოგიის სფეროში.
სწავლის საფასური	4500 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო	სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსით, კერძოდ: სწავლების პროცესში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. დოქტორანტს შეუძლია მიიღოს კონსულტაციები და განახორციელოს თემისთვის აუცილებელი კვლევები, რაც უზრუნველყოფილია მემორანდუმებით,

ადამიანური და მატერიალური რესურსი	შეთანხმებული თანამშრომლობით უცხოურ უმაღლეს სამუსიკო დაწესებულებებთან, Erasmus + პროგრამაში და სხვ. სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული სასწავლო აუდიტორიები; სტუდენტთა განკარგულებაშია თსკ ბიბლიოთეკა, აუდიო-ვიდეოთეკა, (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ელექტრონული ბაზები, ჟურნალები); ქართული ხალხური შემოქმედების და საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიები, ტმკც ბიბლიოთეკა, რომლებშიც ინახება როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების რიდერები და სწავლებისა და კვლევის პროცესისათვის საჭირო ელექტრონული რესურსი; კონსერვატორიის სამენოვანი ელექტრონული რეფერირებადი, რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ქესჟ „მუსიკოლოგია და კულტუროლოგია“ საერთაშორისო სარედაქციო საბჭოს შემადგენლობით: http://gesj.internet-academy.org.ge/ge/title_ge.php?b_sec=&section_l=muz სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა, სახელობითი სტიპენდიები; ბიბლიოთეკა სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ● ელექტრონული კატალოგი - http://conservatoire.library.ac.ge/ ● ელექტრონული ბიბლიოთეკა - http://dspace.tsc.edu.ge/ ● აუდიო ბიბლიოთეკა ● ელექტრონული ბაზები და ჟურნალები (Cambridge Companions, JStore Music Collection, Ebrary Collection, Scorpus, Science direct და სხვ.); ● ელექტრონული დაჯავშნის სერვისი ● ბიბლიოთეკათშორისი აბონიმენტი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი: ● პროფ. მარინა ქავთარაძე

	• პროფ. ქეთევან ბოლაშვილი • პროფ. ლეილა მარუაშვილი • პროფ. მარიკა ნადარეიშვილი • პროფ. ნატალია ზუმბაძე • ასოც. პროფ. ნანა შარიქაძე • ასოც. პროფ. გვანცა ღვინჯილია • ასოც. პროფ. მაია სიგუა • ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე • ასოც. პროფ. მაია ტაბლიაშვილი • ასოც. პროფ. ეკატერინე ონიანი • ასოც. პროფ. ოთარ კაპანაძე • ემერიტუსი რუსუდან წურწუმია პროგრამაში ჩართული პერსონალის CV თან ერთვის (იხ. დანართი №1)
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	(იხ. დანართი №2)
დამატებითი ინფორმაცია	საკვლევი თემატიკა განეკუთვნება მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლესიო მუსიკოლოგიის, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიასა და თეორიის მიმართულებებს. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა მუსიკოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთელი პროგრამისთვის ზოგადი ჩარჩოს დადგენა, რომელიც შეივსება კონკრეტიკით ამა თუ იმ დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. **სამეცნიერო ხელმძღვანელი** • დოქტორანტის კვლევას წარმართავს დოქტორის ხარისხის მქონე, დოქტორანტის თემის შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე **სამეცნიერო ხელმძღვანელი**

	(ხელმძღვანელები), რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩატარების პროცესის მხარდაჭერას (ხელმძღვანელი დოქტორანტს უთმობს სემესტრულად 30 საკონტაქტო საათს, ხოლო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში მისი საკონტაქტო საათები დგინდება ინდივიდუალურად, დოქტორანტის კვლევის თემატიკისა და ინტერესების შესაბამისად); სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უზრუნველყოფს კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვას, ეხმარება სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით სფეროში ინტეგრირების პროცესში; პასუხისმგებელია დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოებში პლაგიატის პრევენციაზე; ამზადებს დაკვნას ჩატარებული სამუშაოს შესახებ. **თანახელმძღვანელი** **კონსულტირება** ● იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გაიაროს კონსულტირება (ჯამურად 40 საათი) კონსერვატორიაში აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან, ან ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში. კონსულტანთან ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს დისერტანტი წარუდგენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ხოლო შედეგებს წარადგენს კოლოკვიუმზე მიმართულების სხდომაზე.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლოკურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი		ლექტორი
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი (ჯგუფური)	სემინარი ინდივიდუალური						
სავალდებულო სასწავლო კომპონენტები: 35 ECTS												
1		სწავლების მეთოდები	5	15	5	-	110		წინაპირობის გარეშე	√		
2		მეცნიერების მენეჯმენტი	5	15	5	-	110		წინაპირობის გარეშე	√		
3		კვლევის მეთოდები	5	15		-	110		წინაპირობის გარეშე	√		
4		დოქტორანტის სემინარი	10	-	-	-	250		წინაპირობის გარეშე	√	√	
5		პროფესორის ასისტირება და პრაქტიკა	10	-	-	-	250		სწავლების მეთოდები	√	√	

	სულ სასწავლო კომპონენტის კრედიტები:	-	-	-	-		-				
	35 *ECTS*										

სავალდებულო კვლევითი კომპონენტი			
აქტივობის სახე	**დაშვების წინაპირობა**	**სემესტრი**	
		შემოდგომა	**გაზაფხული**
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	პროსპექტუსის დამტკიცება	√	√
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	√	√
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება, აპრობაცია და დაცვა	დოქტორანტის II კოლოკვიუმი და აპრობაცია	√	√